ხელშეკრულება N35030212/10
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

თბილისი 7 აგვისტო 2015 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1. ერთი მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ მოდებაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „ჯი-ემ-პი" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნდობით აღჭურვილი პირის გოჩა გოგილაშვილის (პ/ნ14001000360) სახით, რომელიც მოქმედებს ნოტარიუს მარიკა გოგოლაძის მიერ 2015 წლის 12 თებერვალს დამოწმებული მინდობილობის (ინდ. N04444358760715, რეგ. N150134394) საფუძველზე, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის 5 აგვისტოს №01/57842 წერილის გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული ,,C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამკურნალო საშუალების - „ინტერფერონის" და „რიბავირინის" შესყიდვა (შემდგომში - „სამკურნალო საშუალება" და/ან „მედიკამენტი" და/ან „საქონელი") შესყიდვა (CPV 33600000):

2.1.1. პეგფერონი („ინტერფერონი") – 1 800 (ერთი ათას რვაასი) ფლაკონი;

2.1.2. კოპეგუსი („რიბავირინი") – 75 600 (სამოცდათხუთმეტი ათას ექვსასი) აბი.

2.2. მოსაწოდებელი სამკურნალო საშუალების სავაჭრო დასახელება, მოსაწოდებელი მედიკამენტის საერთო რაოდენობა, ერთეულისა და საერთო ფასი, მოწოდების ადგილი და ვადები მოცემულია N1 დანართში, რომელიც დაერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. 3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 116 478 (ას თექვსმეტი ათას ოთხას სამოცდათვრამეტი) აშშ დოლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

3.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, ასევე შეფუთვის, მარკირების, დაზღვევისა და ყველა სხვა თანმდევ ხარჯებს, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

4. შეფუთვა

4.1. მოსაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.

4.2. „მიმწოდებელი" პასუხისმგებელია „შემსყიდველის" წინაშე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, რისთვისაც „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს საქონლის სრული უსაფრთხოება ტრანსპორტირებისას, შესაძლო დაზიანებისა და გაფუჭებისგან.

5. საქონლის მიწოდების პირობები

5.1. საქონლის საერთო მოცულობის მიწოდება განხორციელდება არა უგვიანეს 2015 წლის 19 აგვისტოსი, Incoterms-2000-ის DDP პირობით, „ცივი ჯაჭვის" პრინციპის სრული დაცვით (ტემპერატუტული რეჟიმი: +2°C - +8°C), შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უზნაძის ქუჩა, №76/1.

5.2. საქონლის მიღებისთანავე, ფაქტობრივად მოწოდებულ საქონელზე, მხარეთა უფლებამოსილ პირ(ებ)ს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

5.3. ფაქტობრივად მოწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება განხორციელდება „შემსყიდველის" შემმოწმებელი პირის ან/და ჯგუფის მიერ შედგენილი ინსპექტირების (შემოწმება) აქტის საფუძველზე.

5.4. წუნდებული (ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამო) საქონლის მიწოდების შემთხვევაში, „მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის წუნდების შესახე დასაბუთებული შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა „შემსყიდველის" მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე. აღნშნული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც საქონლის წუნდება გამოწვეულია „სამედიცინო დაწესებულებების" მხრიდან შენახვის პირობების დარღვევით.

6. სამკურნალო საშუალების ვარგისიანობის ვადა

6.1. მოსაწოდებელი საქონლის ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს:

6.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.1. ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქონელზე - არანაკლებ 2017 წლის ოქტომბრისა;

6.1.2. წინამდებარე ხელშეკრულების 2.1.2. ქვეპუნქტით განსაზღვრულ საქონელზე - არანაკლებ 2018 წლის ოქტომბრისა;

6.2. „მიმწოდებელი" პასუხისმგებელია „შემსყიდველის" წინაშე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, რისთვისაც „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს საქონლის სრული უსაფრთხოება ტრანსპორტირებისას, შესაძლო დაზიანებისა და გაფუჭებისგან.

7. ანგარიშსწორება

7.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში (ლარში), ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და „მიმწოდებლის“ მიერ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, ანგარიშსწორების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აშშ დოლარის მიმართ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის გარეშე არ მოხდება თანხის გადახდა.

7.3. მიმწოდებლის მხრიდან შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში დასაშვება წინასწარი ანგარიშსწორება.

7.4. ამ მუხლის 7.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების შემთხვევაში, „შემსყიდველი“ უზრუნველყოფს „მიმწოდებლისათვის“ წინასწარი ანგარიშსწორების გზით (ავანსის სახით) წარმოდგენილი საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვას 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მას შემდეგ, რაც „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი იქნება ავანსად გადასარიცხი თანხის ოდენობის საბანკო გარანტია. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებულ საქონლის მიწოდების საბოლოო ვადას (2015 წლის 19 აგვისტო).

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.1.1. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

8.1.2. უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამკურნალო საშუალების მიწოდება „შემსყიდველისათვის“ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად;

8.1.3. „შემსყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, მიაწოდოს მას ნებისმიერი ინფორმაცია თუ დოკუმენტი, რაც უკავშირდება 2.1. პუნქტით გათვალისწინებული პროგრამის ადმინისტრირებას და/ან 8.2.1. პუნქტი გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას;

8.1.4. უზრუნველყოს სამკურნალო საშუალების მიწოდებამდე, მისი შენახვისათვის და ტრანსპორტირებისათვის საჭირო ყველა პირობის (შესაბამისი რეჟიმის) დაცვა;

8.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.1.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება „მიმწოდებელს“.

8.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.2.1. ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული ანაზღაურება;

8.2.2. ამ ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.3 პუნქტის განხორციელების მიზნით, ინსპექტირება (ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესრულების შემოწმება) განახორციელოს როგორც უფლებამოსილი წარმომადგენლის, ისე შემმოწმებელი ჯგუფის მეშვეობით. უფლებამოსილ წარმომადგენელ(ებ)ს და/ან შემმოწმებელი ჯგუფის შემადგენლობას განსაზღვრავს „შემსყიდველი“. შემმოწმებელი ჯგუფი შეიძლება შედგებოდეს (წარმოადგენდეს) როგორც „შემსყიდველის“ თანამშრომლების, ისე „შემსყიდველის“ მიერ დაქირავებული პირებისაგან;

8.2.3. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია, ხელშეკრულების ფარგლებში, მოითხოვოს დროული და სრული ანაზღაურება.

8.4. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.4.1. შეწყვიტოს ხელშეკრულება სამკურნალო საშუალების ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო;

8.4.2. მოთხოვოს „მიმწოდებელს“ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა.

9. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

9.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე.

10.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ გადააცილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამკურნალო საშუალების მიწოდების ვადას 10 (ათი) კალენდარული დღით, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლოს ანაზღაურება ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.4. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გარდა, თითოეული მხარე ვალდებულია, აუნაზღაუროს მეორე მხარეს ვალდებულებათა შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანი, ამ ხელშეკრულებით და/ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.
10.5. მხარეებს უფლება აქვთ წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების ანაზღაურებასთან დაკავშირებით ერთმანეთის მიმართ დააწესონ საშეღავათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც არ ხდება წინამდებარე მუხლის 10.1. პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციის დარიცხვა. საშეღავათო პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეს.

11. ფორს-მაჟორული სიტუაცია

11.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.
11.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
11.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
11.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
11.2.3. ეპიდემიები;
11.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო, ან საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.
11.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
11.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
11.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
11.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
11.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
11.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასატანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
11.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

12. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

12.1. „მიმწოდებლის“ მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობით წარმოქმნილი რისკის აცილების მიზნით გამოიყენება გარანტირების მექანიზმის შემდეგი სახე – ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-იანი სადაზღვევო და/ან საბანკო გარანტია, რომელიც უნდა მოქმედებდეს არანაკლებ 2015 წლის 1 ნოემბრამდე.
12.2. საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება „მიმწოდებელს“ თუ:
12.2.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ვერ უზრუნველყოფს საქონლის „შემსყიდველისათვის“ ჩაბარებას;
12.2.2. უარს იტყვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;
12.2.3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.3. საბანკო გარანტია დაუბრუნდება „მიმწოდებელს“ თუ:
12.3.1. ხელშეკრულების მხარეები მიიღებენ გადაწყვეტილებას ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის შესყიდვის შეწყვეტის ან შეჩერების თაობაზე, რაც არ არის დამოკიდებული მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე;
12.3.2. „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით;
12.3.3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
12.4. „მიმწოდებელმა“ სადაზღვევო და/ან საბანკო გარანტია უნდა წარმოადგინოს არა უგვიანეს 2015 წლის 17 აგვისტოსი.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
13.2. ხელშეკრულების 13.1. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აღნიშნულის თაობაზე აცნობოს წერილობით.
13.3. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.
13.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
13.4.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით.
13.4.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი, არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

16.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

16.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

16.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

16.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

16.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

16.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

16.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არა უგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

16.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

16.10. ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) ფურცლად, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან“, ორი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან“.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	შპს „ჯი-ემ-პი“
ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №144	ქ. თბილისი, სოფელი ფონიჭალა N65
საიდენტიფიკაციო კოდი №202178927	სს „ბანკი ქართი“; ბანკის კოდი CRTUGE22
	ა/ა №GE61CR00 0100 4670 9236 02
	საიდენტიფიკაციო კოდი: 211385268
თამაზ მოდებაძე	გოჩა გოგიდაშვილი
დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი	დირექტორის ნდობით აღჭურვილი პირი
	შპს „ჯი-ემ-პი“ "GMP" LTD 211385268

ვიზირებულია: ლ. მამულაშვილი

ზ. დათუკიშვილი

კ. ჩხარტიშვილი

ა. ვასაძე

დანართი N1

N	მოსაწოდებელი საქონლის დასახელება	რაოდენობა	წარმოშობის ქვეყანა/მწარმოებელი	მახასიათებლი	ერთეულის ფასი (აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)	მთლიანი ღირებულება (აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში)	მიწოდების ადგილი	მიწოდების ვადა
1	პეგფერონი	1800 ფლაკონი	საქართველო GMP	180მკგ /1მლ ფლაკონში	64.71	116478.00	Incoterms-2000-ის DDP პირობით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უზნაძის ქუჩა, №76/1	საქონლის მთლიანი რაოდენობის მოწოდება - არა უგვიანეს 2015 წლის 19 აგვისტოსი
2	კოპეგუსი	75600 აბი		კოლოფი N42	0.00	0.00		

სულ: ას თექვსმეტი ათას ოთხას სამოცდათვრამეტი აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში (ლარში) **116478**

თამაზ მოდებაძე

გოჩა გოგილაშვილი

შპს "ჯი-ემ-პი"
"GMP" LTD
211385268